საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1728 2016 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

სს „კურორტ ახტალაზე“ გაცემულ წიაღით სარგებლობის ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის 1^3 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სს „კურორტ ახტალაზე“ გაცემულ წიაღით სარგებლობის ლიცენზიაში (სერია 35, ნომერი 0632, ტიპი IIQ) შეიტანოს ცვლილება და მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) მოცულობად ლიცენზიის მოქმედების დარჩენილ პერიოდში (2025 წლის 28 ივნისამდე) განსაზღვროს წელიწადში 102 492 m^3.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**